**გამარტივებული შესყიდვის საშუალებით**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N217**

**ქ. თბილისი** **21 ოქტომბერი 2016 წელი**

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2016 წლის 21 ოქტომბერს 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, დაფინანსების წყარო – საკუთარი სახსრები.

**ხელშეკრულების მხარეები**

ერთის მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) (შემდგომში „შემსყიდველი") მისამართი: თბილისი ჯავახიშვილის ქ. 51, და მეორეს მხრივ, **შპს იმედი თელავი** (ს/კ 231273332), მისამართი: ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის ქ. N14, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის აღრიცხვა-წარმოებაში - ომარ ალხანაშვილი, (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV – 33600000 - ფარმაცევტული პროდუქცია, კერძოდ: ნარკოტიკული საშუალებების შესყიდვა:
1. Sol. Promedol 2% 1ml, რაოდენობა - 15 ამპულა, ერთეულის ფასი - 2.96 ლარი, სულ - 44,4 ლარი;
2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დათქმულ დროსა და ადგილას. ქალაქ თელავში, დ. აღმაშენებლის ქ. N14-ში.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 44,4 ლარს (ორმოცდაოთხი ლარი და 40 თეთრი);
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 შემსყიდველი პასუხისმგებელია მხოლოდ ფაქტობრივად მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებაზე.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის გამვალობაში.

**5. ხარისხი**

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

**6. მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი ან/და სასაქონლო ზედნადების) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.



**შემსყიდველი** **მიმწოდებელი**

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) უსასყიდლოდ გადასცეს შემსყიდველს ნარკოტიკული საშუალების გამოსაწერი რეცეპის ბლანკის ფორმა (რეცეპტის ბლანკი ყვითელი ფერის) - ფორმა N1;

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის" დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების ფარმაცევტი - **ქეთევან ლამაზოშვილი,** რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი



**შემსყიდველი** _____ **მიმწოდებელი** _____

პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

## 14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად (ორი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

**მხარეთა რეკვიზიტები**

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) | შპს იმედი თელავი (ს/კ 231273332) |
| ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) | ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი- დირექტორი -ომარ ალხანიშვილი |
| საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000 | საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი“<br>ანგარიშის ნომერი: GE62BS0000000008836911 |



შემსყიდველი

მიმწოდებელი